ოქმი:**ო08. 3725325001**
თარიღი:**21/11/2025**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 20 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

15:00 -16:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ზ. სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე, ტ. ბარამიძე, ლ. კვაჭაძე, დ. ასათიანი, ლ. მესხი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია, მ. ცქვიტიშვილი, ქ. ვასაძე, გ. ხიდიბეგიშვილი, თ. ბადალაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. აღნიშნა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 47407,0 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4007,0 ათასი ლარით, რაც პროცენტულად შეადგენს 9,23%-ს. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომისიის ფუნქციის შესაბამისი დარგებისა და პროგრამების დაფინანსებას, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ უპასუხა დასმულ შეკითხვებს-მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაზე და მის თაობაზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებაზე. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები, კერძოდ: დასაზუსტებელი ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების განხორციელების ლოკაციები, პროექტი უფრო მეტად უნდა იყოს გამჭვირვალე,

მისაღები და ადვილად გასაგები რიგითი მოქალაქეებისთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, არსებული კანონმდებლობის შესაბამისდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი მუდმივმოქმედი კომისიების, ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი